გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 128

2022 წლის 8 ივლისი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის ქონების, არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 66.45.13.483) პირობიანი აუქციონის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2022 წლის 2 მაისს № 19/2022122210-08 შემოსულია განცხადება, რომელშიც მოთხოვნილია, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 43 კვ.მ მიწის ნაკვეთის ს/კ 66.45.13.483 (მისამართი: ქალაქი გორი, მდინარე მეჯუდის მიმდებარედ) იჯარის ფორმით გადაცემა.

აუდიტური კომპანიის შპს „კომპაუდის'' მიერ 2022 წლის 14 ივნისის N 191-ქ ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.45.13.483, დაზუსტებული ფართობით - 43.00 კვ.მ (მისამართი: ქალაქი გორი, მდინარე მეჯუდის მიმდებარედ) საწყისი საპრივატიზებო ღირებულებად განისაზღვრა: 9,000.00 (ცხრა ათასი) ლარით.

გამომდინარე იქიდან, რომ გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული უძრავი ქონების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება, ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლების მიღების მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული - მისამართი: ქალაქი გორი, მდინარე მეჯუდის მიმდებარედ (ს/კ 66.45.13.483) ფართობით: 43.00 კვ.მ, პირობიანი აუქციონის წესით, დროებითი სარგებლობის უფლებით (იჯარა) გაცემა, რისთვისაც საჭიროა ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების,

სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილების 36-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო ღირებულება და ქირის საწყისი წლიური საფასური.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის, საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ გორში, მდინარე მეჯუდის მიმდებარედ (ს/კ 66.45.13.483), უძრავი ქონება გასცეს, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ელექტრონული აუქციონის წესით.

2. ქალაქ გორში, მდინარე მეჯუდის მიმდებარედ (ს/კ 66.45.13.483), ფართობით: 43.00 კვ.მ, საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 9,000.00 (ცხრა ათასი) ლარით.

3. საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 1800 (ათას რვაასი) ლარით.

4. აუქციონის პირობად განისაზღვროს შემდეგი: ს/კ 66.45.13.483 მიწის ნაკვეთზე მოეწყოს მსუბუქი კონსტრუქციის ნაგებობა (კომერციული დანიშნულებისთვის), რომელიც შეთანხმებულ იქნას, გორის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურთან.

5.გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესებდიან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება (რაც 2 კვირით ადრე ეცნობება მოიჯარეს), ხოლო დამონტაჟებული მსუბუქი კონსტრუქცია აღებულ იქნეს ,,მოიჯარის'' მიერ საკუთარი ხარჯებით.

6.მოიჯარემ უზრუნველყოს ქონების მოვლა - პატრონობა (სანიტარული, ჰიგიენური ნორმების დაცვა), ასევე უზრუნველყოს კომუნალური გადასახადების გადახდა.

7.იჯარის ფორმით გადაცემის ვადა განისაზღვროს 2 (ორი) წლის ვადით.

8.განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

9. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. N30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე